საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

№ 08-1/2167 " 28 10 " 2013 წ.

შ.პ.ს „აი-თენ"-ის დირექტორს
ბატონ ლევან კაპანაძეს

გაცნობებთ, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ გამოცხადებულ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ. კაჩაგანში მდებარე წყალსაქაჩი/სატუმბი სადგურიდან სასმელი წყალმომარაგების სამარაგო ავზებამდე არსებული (ამორტიზებული/ფიზიკურად გაცვეთილი) მაგისტრალის რეაბილიტაცია/მშენებლობის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო კომისიის 2013 წლის 25 ოქტომბრის სხდომის #2 ოქმის მიხედვით კომისიამ სრული შემდგენლობით ჩათვალა, რომ სამართლებრივად შემსყიდველი ორგანიზაციის კუთვნილი სახსრების ხარჯვის რაციონალურობის პრინციპიდან და თქვენს მიერ შემოთავაზებული საპროექტო მომსახურების სავალდებულო 10 დღიანი ვადის შესრულებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია უპირატესობა მოგენიჭოთ თქვენ, როგორც უმცირესი ფასის მქონე კონკურსანტს იმ შემთხვევაში თუ თქვენი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – წარმოადგენს ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სათანადო წესით დამოწმებულს.

აქედან გამომდინარე, მოქმედი შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით, გიდგენთ 3 (სამი) დღიან სამუშაო ვადას, რათა დადგენილ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინოთ – ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სათანადო წესით დამოწმებული...

პატივისცემით,
საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარე /ვ. ბურნაძე/

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI